

დავით ცინცაძე

განათლება, კვალიფიკაცია:

- 1982-1988 დიპლომი მაგისტრი. კინო-ტელე ფაკულტეტი. რეჟისორის კვალიფიკაცია. საქართველოს შოთა რუსთაველის სახ. თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი.
- 1999-2002 დიპლომი მაგისტრი. სამართალ მცოდნეობის ფაკულტეტი. იურისტის კვალიფიკაცია. თბილისის სოციალურ-ეკონომიკური ინსტიტუტი.

პროფესიული გამოცდილება:

- 2007 -დან გენ. დირექტორი კომპანიის „მეტეხი მედია ჰოლდინგი“
- 2007 -2008 პროექტის ავტორი, მთავარი რედაქტორი.
საინფორმაციო სარეკლამო ჟურნალი „ცნობის ფურცელი“ / „მეტეხი მედია ჰოლდინგი“) (2007 წ. გაიმარჯვა ნომინაციაში „საუკეთესო ახალი ბრენდი“, დაჯილდოვდა სპეციალური დიპლომით და ოქროს მედლით ყოველწლიურ კონკურსში.
ორგანიზატორი: საზოგადოებრივი ურთიერთობის სააგენტო „პროფილი“)
- 2004-2007 ტელე-კინო რეჟისურის სახელოსნოს ხელმძღვანელი.
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახ. უნივერსიტეტი.
- 1999-2004 პროექტის ავტორი, რეჟისორი. ყოველკვირეული სატელევიზიო გადაცემა „თბილისის დროით“ / TBC - TV და საზოგადოებრივი არხი.
(გამარჯვებული ნომინაციაში „საუკეთესო გადაცემა ქალაქზე“. დაჯილდოვებული სპეციალური პრიზით და სიგელით კონკურსში „დედაქალაქი“
(ორგანიზატორი:ფირმა „ფილიპშორისი“ დათბილისის მუნიციპალიტეტი).
- 1996-1998 მთავარი რეჟისორი. სტუდია „აუდიენცია“
- 1991-1996 რეჟისორი. სამხატვრო ხელმძღვანელი დოკ /ფილმების სტუდია „მემატინე“
- 1998 - დან დამფუძნებელი, დირექტორი რეჟისორი - დოკ/ფილმების სტუდია „რაკურსი“ .

განხორციელებული პროექტები:

2015. დოკუმენტური გამოძიება „დავით მარდიანის საქმე - ორგანოების უკანონო ტრანსპლანტაცია“ / რეჟისორი, სცენარის ავტორი. სტუდია „რაკურსი“
2014. სამეცნიერო - პოპულარული დოკ. მოკლემეტრ. ფილმი „კავკასიური ნაციონალობის სახე“ რეჟისორი, სცენარის ავტორი. სტუდია „რაკურსი“
- 2012 რეჟისორი, სცენარის ავტ. მხატვრული ფილმის „შემოდგომის მოთხრობა სიყვარულზე“ მთ. როლში რამაზ ჩხიკვაძე (უკანასკნელი კინოროლი)
- 2012 პროექტის ავტორი, რეჟისორი. ჟურნალისტური გამოძიება. „ელიტარული კორუპცია“ (სტუდია „რაკურსი“ და „მე-9 არხი“)
- 2011 პროექტის ავტორი, რეჟისორი. ჟურნალისტური გამოძიება. „გისო-კარდონი“ (აღმაშენებლის გამზირის დანაშაულებრივი რეაბილიტაცია) სტუდია „რაკურსი“
- 2007 სცენარის ავტორი, რეჟისორი. სარეკლამო ვიდეო რგოლი „ცნობის ფურცელი“ სარეკლამო ვიდეორგოლების კოკურსზე გაიმარჯვა ნომინაციაში: „საუკეთესო სარეკლამო ვიდეორგოლი“
- 2004 სცენარის ავტორი, რეჟისორი. სატელევიზიო დოკ / ფილმი „ტრეფკინგი საქართველოში“ (გაეროს დაკვეთით)
- 2003 პროექტის ავტორი, რეჟისორი - „ჟურნალისტური გამოძიება საქართველოს წითელ ჯვარში“ დოკ / ფილმი. (მიღებული აქვს უენევის წითელი ჯვრის მთავარიოფისის მადლობა).
- 2003 პროექტის ავტორი, რეჟისორი. კრიტიკულ-პუბლიცისტური ტელეფილმი „ქუჩა და ბავშვები“ (ობოლი და სოც. დაუცველი ბავშვების პრობლემები). სტუდ, „რაკურსი“
- 2002 სცენარის ავტორი, რეჟისორი, დოკუმენტური ტელე ფილმი „ადამიანი როგორიც ის არის“ სტუდ, „რაკურსი“

- 2002 ჟურნალისტი, ავტორი. ვიდეო რგოლი „მაკა ასათიანის დეფილე“ („რაკურსი“) მოსკოვის მოდის ფესტივალზე მოიპოვა ნომინაცია „საუკეთესო ვიდეორგოლი მოდაზე“.
- 2002 სცენარი, რეჟისურა. დოკუმენტური ტელე ფილმი „ჩემი ქალაქი“ გამარჯვებული ნომინაციაში საუკეთესო ტელეფილმი, ყოველწლიურ კონკურსში „დედაქალაქი“ (ორგანიზატ: ფირმა „ფილიპ მორისი“ და თბილისის მუნიციპალიტეტი).
- 2001 მეორე რეჟისორი; დოკ. ფილმი „XX საუკუნის ქართული ქრონიკები“ საქართველოს სამეც. პოპულარული და დოკ / ფილმების სტუდ. „მემათიანე“.
- 1997-1998 რეჟისორი. სამი მუსიკალური ვიდეორგოლი გ. ანდლულაძის შესრულებით. მუსიკ. ვიდეორგოლმა „რა დამავიწყებს“ დაჯილდოვდა სპეც. დიპლომით „მაყურებლის სიმფათია“ - იტალიის მუსიკალური ვიდეორგოლების ფესტივალზე.
- 1996 რეჟისორი, დოკ / ფილმი „ქართული სოფელი“ / სტუდია „რაკურსი“
- 1992-1993 სტუდია მემათიანე. პოზიცია: ვმუშაობდი დოკუმენტალისტების ჯგუფის ხელმძღვანელად, ჟურნალისტად. ვიღებდით აფხაზეთში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებების კრონიკას.
- 1986 ავტორი „ფილმი ეპიზოდის“ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმისათვის „გამალამაზეთ“ (მთ. რეჟ. ლ. ბაქრაძე) დაჯილდოვებულია მთავარი პრიზით . ტაშკენტის საერთაშორისო კინო ფესტივალი.

სხვა კვალიფიკაცია:

- ვარ დოკუმენტური და მხატვრული ფილმების ავტორი.
- საგაზეთო სტატიების, ტელე პროექტის, კინო სცენარების ავტორი.
- საქართველოს კონომატოგრაფისტთა კავშირის წევრი.
- ხელოვანთა საერთაშორისო ფედერაციის წევრი.
- გრიგოლ ლორთქიფანიძის საზოგადოების წევრი.

ენები: ქართული (მშობლიური); რუსული (კარგი); ინგლისური (შუალედური)

ინტერესები: კინო, ტელევიზია, ფოტოგრაფია, ისტორია, არქეოლოგია, ფსიქოლოგია-ფილოსოფია, ხელოვნება, მენეჯმენტი.

სამოტივაციო წერილი

ჩემი გადაწყვეტლება მონაწილეობა მივიღო სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში, ეფუძნება პრაქტიკული და თეორიული სახის მდიდარ პროფესიონალურ გამოცდილებას, როგორც სატელევიზიო სფეროში, ასევე იმ მიმართულებებში რომელიც საჭიროა ზოგადად, როგორც ტელევიზიის შინაარსის სიღრმისეული შემეცნებისთვის, ასევე სატელევიზიო პროცესების მართვა-განვითარებისთვის.

XXI საუკუნეში, როგორც მთელ მსოფლიოში, ასევე საქართველოში მოიტანა სრულიად ახალი ყოფიერება, რომელსაც ესაჭიროება ახალი, შესაბამისი სახის აზროვნება და ხედვები ადამიანის მოღვაწეობის ყველა სფეროში, მათ შორის სატელევიზიო მაუწყებლობის კულტურაში.

სამწუხაროდ სხვადასხვა მიზეზების გამო, დღეს არსებული საზოგადოებრივი მაუწყებლობა ვერ უზრუნველყოფს ვერც ზოგადად საზოგადოების და ვერც ცალკეული ადამიანის მოთხოვნილებას, როგორც ინფორმირების კუთხით (საინფორმაციო ხაზით), ასევე განმანათლებლობის და ზოგადად კულტუროლოგიური და სოციო-ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც. რეალობასთან დაცილებული მაუწყებლობა უთუოდ საჭიროებს სიღრმისეულ რეფორმირებას (გარდაქმნას) როგორც სისტემური თვალსაზრისით, ასევე შინაარსობრივი, იდეური მიმართულებით - რისი განხორციელებაც უნდა უზრუნველყოს საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალურმა დირექტორმა, სამეთვალყურეო ბორდის დახმარებით და ხელშეწყობით, რაშიც მონაწილეობას უნდა იღებდეს მთელი საზოგადოებრივი სპექტრი.

XXI საუკუნის, თანამედროვე ტელე - მაუწყებლობის შექმნა საჭიროებს პირველ რიგში საზოგადოების ნებას - რაც დიდი ხანია უკვე არსებობს (!) და შესაბამის პროცესს, რომელიც მოიცავს ინტელექტუალური, პროფესიონალური და მეცნიერული სახის თეორიულ და პრაქტიკულ სამუშაოებს - რომლის გარეშეც წარმოუდგენელია მაღალგანვითარებული საზოგადოებრივი მაუწყებლის არსებობა (ჩემი არჩევის შემთხვევაში, მე როგორც გენერალური დირექტორი ვეცდები ხელი შეუწყო სწორედ ასეთი პროცესის დაგეგმას და შესაბამისი სისტემის ჩამოყალიბებას).

პირველ ყოვლისა კი საჭიროა, საზოგადოებამ სრულიად ნათლად გააცნობიეროს და გაანალიზოს თუ რას ელის (თვითონ) იგი საზოგადოებრივი მაუწყებლისგან - რაზედაც უნდა დაეფუძნოს საზოგადოებრივი მაუწყებლობის (სისტემური მუშაობის) როგორც კონცეფცია, ასევე მისი შინაარსი და განვითარების გეგმა.

სხვა მხრივ, პერმანენტულ კრიზისში მყოფი საზოგადოებრივი მაუწყებლის დღევანდელი სისტემა ვერ შესძლებს არა მარტო განვითარებას, არამედ იმ ფუნქციის სათანადოდ შესრულებასაც - რაც საზოგადოებამ დააკისრა მას და რასაც საზოგადოება მოელის საკუთარი ტელე მაუწყებლისგან.

სიღრმისეული რეფორმების გატარებისთვის აუცილებელია მთელი კოლექტივის თანამოაზრეობა - შეჯერებული ხედვების, გეგმის და შესაბამისი სახის კონცეფციის არსებობა. საზოგადოებრივი მაუწყებლის პრიორიტეტული პოლიტიკა კი უნდა იყოს „ინფორმირება, განმანათლებლობა, კულტურა.“ (იხ. კონცეფცია).

ჩემი პრაქტიკული და პროფესიონალური გამოცდილებიდან გამომდინარე, ასევე ჩემს თეორიულ ცოდნაზე დაყრდნობით (რომელშიც შედის უცხოეთის მოწინავე საზოგადოებრივი არხების (უმთავრესად ბრიტანულის) ფუნქციონირების სისტემის ცოდნა) საშუალებას მაძლევს ვივარაუდო, რომ საერთო ნების და სურვილის შემთხვევაში, ასევე სწორი ანალიზის, კონცეპტუალური მიდგომების და მათზე დაყრდნობით შემუშავებული გეგმის არსებობის შემთხვევაში, დღეს არსებული საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი ბოლოს და ბოლოს შესძლებს გარდაიქმნას თანამედროვე მოთხოვნებზე მიმართულ მაუწყებლად.

P. S.

ჩემი კონკურსში მონაწილეობის მოტივაციის ერთადერთი საფუძველი არის სურვილი - ყველა დაინტერესებულ პირთან თუ მთელ საზოგადოებასთან ერთად, ერთობლივი ძალით „შევქმნათ“ XXI საუკუნის შესაფერისი, მაღალგანვითარებული - მსოფლიოს საუკეთესო გამოცდილების შესწავლით შემუშავებული - სრულიად ახალი საზოგადოებრივი მაუწყებლობა, რომელიც რეალურად და პრაქტიკული სახით დაეხმარება პირველ ყოვლისა დღევანდელ საზოგადოებას (და ასევე ზოგადად სახელმწიფოს) გაცხადებული მიზნების განხორციელებაში.

პატივისცემით: დავით ცინცაძე

25.12.2016.